საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

ს.ს.ი.ჯ. მიწის მდგრადი მართვისა და
მიწათსარგებლობის მონიტორინგის
ეროვნული სააგენტო

MINISTRY OF ENVIRONMENT
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

LEPL NATIONAL AGENCY FOR
SUSTAINABLE LAND MANAGEMENT
AND LAND USE MONITORING

მის: 0160, საქართველო, თბილისი, ვაზისუბნის ქ. 25; ტელ: (+995 32) 231 30 26; Address: 25 Vazisubani str. Tbilisi, 0160, Georgia; Tel: (+995 32) 231 30 26;

N 1757/02
15/09/2022

1757-02-2-202209151735

ბაზირგან მამედოვს (**პირადი ნომერი 36001003606**)

მის.: [redacted]

ტელ.: [redacted]

ბატონო ბაზირგან,

სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2022 წლის 14 სექტემბერს წარმოდგენილია თქვენი N1488 განაცხადი საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილეობის თაობაზე. თქვენ მიერ N1488 განაცხადში მითითებულ იქნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საძოვრის კატეგორიის 5444698 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N52.08.45.061).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა'' პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის

მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხოლო 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის თანახმად, იჯარით გასაცემი საძოვრის შერჩევა ხორციელდება სააგენტოს მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებით. საძოვრის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით ყველა მათგანის მხრიდან დადებითი პოზიციის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში იჯარით გასაცემი საძოვრების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სამინისტროსა და სააგენტოს ვებგვერდებზე (www.mepa.gov.ge; www.land.gov.ge), რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად მიიჩნევა და წარმოადგენს პროგრამაში მონაწილეობის შესახებ განაცხადების მიღების დაწყების საფუძველს.

ამავე პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პრეტენდენტს, რომელსაც შერჩეული აქვს იჯარის უფლებით გასაცემი საძოვარი და, ამავდროულად, განაცხადის წარდგენისას მას ან/და მის მეპაიეს/წევრს მფლობელობაში აქვს იჯარის უფლებით გასაცემი საძოვრის ასათვისებლად საკმარისი რაოდენობის მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ამ პროგრამის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, თქვენ მიერ N736 განაცხადით მოთხოვნილი N52.08.45.061 საკადასტრო კოდით სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთი არ არის მიმდინარე ეტაპზე სააგენტოს მიერ შერჩეულ აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრების სიაში. ამდენად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად სააგენტო მიიჩნევს, რომ თქვენი მოთხოვნა პროგრამაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, ისეთ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, რომელიც არ წარმოადგენს იჯარით გასაცემ საძოვარს, ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

ასევე გაცნობებთ, რომ წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში **(მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64)** აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

მერაბ ქვარაია

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი